# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 435

9 სექტემბერი
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს" (ს/ნ. 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.№01.72.14.034.711; ს/კ. №01.72.14.034.238; ს/კ. №01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის" (ს/ნ. 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის" (ს/ნ. 405198806) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს" (ს/ნ. 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ. №01.72.14.034.711; ს/კ. №01.72.14.034.238; ს/კ. №01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის" (ს/ნ. 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის" (ს/ნ. 405198806) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1 სექტემბრის №22.1313.1435 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს“ (ს/ნ. 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ. №01.72.14.034.711; ს/კ. №01.72.14.034.238; ს/კ. №01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/ნ. 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/ნ. 405198806) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე